## ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის
## ბრძანება №399

2015 წლის 23 აპრილი ქ. ბოლნისი

### გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს, გამარტივებული შესყიდვის წესით:

ა) ქ.ბოლნისში ადმინისტრაციული შენობის (სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106) სანიტარული კვანძების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისა და არქივის ოთახების მოწყობის სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

ბ) სოფელ ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის ეზოში არსებული სცენის რეაბილიტაციის და სამაყურებლოების მოწყობის სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

გ) ქ.ბოლნისში, იაკობ გოგებაშვილის ქ.№26-ში არსებული სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის (უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის) სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

დ) სოფელ ქვეშში კლუბის შენობის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

ე) ქ.ბოლნისში არსებული ნაგავსაყრელის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

ვ)ქ.ბოლნისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარედ კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

ზ)ქ.ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის და მერაბ კოსტავას ქუჩაზე ახლად მოწყობილ ქსელზე დაერთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

თ)ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო გზებზე დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

ი)ქ.ბოლნისი-ბოლნისის სიონის და მონასტერი-წუღრუღაშენის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე (კმ 4+00მ-დან საშუალოდ 6კმ სიგრძის) გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება;

კ)ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბანში მინერალური წყლისა და მის მიმდებარე ტერიტორიის ღამის დეკორატიული ნათებების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომზადების მომსახურება;

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების ჩატარებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

3. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების შემდეგ.

გამგებელი გოგი მეშველიანი

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №39**

**2015 წლის 4 მაისი**

**ქალაქი ბოლნისი**

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად,

1.მიეცეს თანხმობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოგი მეშველიანს განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით :

ა) ქ.ბოლნისში ადმინისტრაციული შენობის (სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106) სანიტარული კვანძების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისა და არქივის ოთახების მოწყობის სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

ბ) სოფელ ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის ეზოში არსებული სცენის რეაბილიტაციის და სამაყურებლოების მოწყობის სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

გ) ქ.ბოლნისში, იაკობ გოგებაშვილის ქ.№26-ში არსებული სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის (უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის) სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

დ) სოფელ ქვეშში კლუბის შენობის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

ე) ქ.ბოლნისში არსებული ნაგავსაყრელის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

ვ)ქ.ბოლნისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარედ კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

ზ)ქ.ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის და მერაბ კოსტავას ქუჩაზე ახლად მოწყობილ ქსელზე დაერთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა ;

თ)ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო გზებზე დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

ი)ქ.ბოლნისი-ბოლნისის სიონის და მონასტერი-წუღრუღაშენის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე (კმ 4+00მ-დან საშუალოდ 6კმ სიგრძის) გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა;

კ)ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბანში მინერალური წყლისა და მის მიმდებარე ტერიტორიის ღამის დეკორატიული ნათებების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომზადების მომსახურების შესყიდვა.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

3.აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა № 113.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამაზ ჟორჟოლიანი